# ბორჯომი

2 ნოემბერი ხუთშაბათი 2023 წელი №46 (9308)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი


## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2023 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №95 დადგენილებაში;**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ;**

**მოიწონეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.**

**თანხმობა მისცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის განხორციელებას.**

**დეპუტატებმა საკრებულოს წევრს *ვაჟა აიწურაძეს* პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყვიტეს უფლებამოსილება, ამასთან ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტებში;**

**საკრებულოს გადაწყვეტილებით რუსთაველის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს (სკვერს) *„ზაალ ბარათაშვილის"* სახელი მიენიჭა. დაბა ბაკურიანში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭა „მელისის" სახელწოდება, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის განკარგულებაში ცვლილებები შეიტანეს „დაბა ბაკურიანში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) სახელწოდების მინიჭების თაობაზე.**

**მოისმინეს ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ზურაბ კორძაიას ინფორმაცია განხორციელებული და 2024 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ; ასევე ა(ა)იპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება"-ის, დირექტორის ქალბატონ ნაირა ამანათაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**განხილულ საკითხებზე საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები მოქმედებაში



**სოფლის** მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ტბის ტერიტორიულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დასრულდა.

სოფელ ტბაზე გარე განათების სისტემა მოეწყო და მოიხრეშა გზები, ცემში გარე ტრენაჟორები მოეწყო და შემოიღობა პარკის ტერიტორია, ლიბანში სპორტული მოედანი მოეწყო, სადგერში კი - სანიაღვრე სისტემა.

2023 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

## კულტურის მინისტრი ბორჯომის სალოტბარო სკოლას სტუმრობდა

**საქართველოს** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი** ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბორჯომის სალოტბარო სკოლას ესტუმრა. მინისტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორთან **გიორგი დონაძესა** და დირექტორის მოადგილესთან **გიორგი გაბუნიასთან** ერთად გაეცნო სკოლის საქმიანობას და საჭიროებებს. მინისტრმა გუნდის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისა და რეგიონში ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის. აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ ქართული ფოლკლორის მხარდაჭერა და განვითარებაა. ამ მიზნით, დაგეგმილია წლის ბოლომდე ყველა სალოტბარო სკოლის მონახულება და მათი საჭიროებების გაცნობა. ბორჯომის წარმომადგენლობა 2015 წელს დაფუძნდა. სალოტბარო სკოლაში ლოტბარი **ლელა მუხურაძე** და რეგენტი **ტატიანა ივანიძე** საქმიანობენ. ამჟამად სკოლაში 31 მოსწავლეა რეგისტრირებული.



სალოტბარო სკოლების გახსნის იდეა დიდ ქართველ მოღვაწეს, ლოტბარსა და კომპოზიტორს, ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელობით ამჟამად ქვეყანაში 30 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც ახალგაზრდები უსასყიდლოდ სწავლობენ ქართულ გალობას, საკრავებზე დაკვრასა და ხალხურ სიმღერას.

**ნატო მელიძე**

## სამეცნიერო სემინარი თემაზე „ეკლესია და ეროვნული თვითმყოფადობა"



**ბაკურიანში, სასტუმრო „კრისტალიში" გაიმართა სამეცნიერო სემინარი თემაზე: *„ეკლესია და ეროვნული თვითმყოფადობა"*. სამეცნიერო სემინარი მიეძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისთავს.**

**ღონისძიებას ხელმძღვანელობდა**: მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი **დანიელი (დათუაშვილი)**.

**ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: მაღალყოვლადუსამღვდელოესნი - მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი ნიკოლოზ (ფაჩუაშვილი), მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი), სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ბატონი ბესიკ ამირანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები.**

## აღინიშნა ანსამბლ „ბორჯომის" 50 წლისთავი

## სიმღერით განვლილი ცხოვრება



**26 ოქტომბერს ვაჟთა ვოკალური ანსამბლ „ბორჯომის" 50 წლის იუბილე აღინიშნა.**

საიუბილეო ღონისძიებაში ანსამბლ „ბორჯომის" სამი თაობა იღებდა მონაწილეობას.

კონცერტი ანსამბლის ღვაწლმოსილმა მომღერლებმა გახსნეს, რომელთა სცენაზე გამოჩენას მაყურებლის უწყვეტი აპლოდისმენტები, შეძახილები, ემოციები და სიხარულის ცრემლებიც კი მოჰყვა.

წლების განმავლობაში ანსამბლმა უამრავი სასიამოვნო დღეები, სიმღერების საოცარი შესრულება, ემოციები და მოგონებები აჩუქეს ბორჯომს და მის მსმენელს. რაც ყველაზე მთავარია, მსმენელის უანგარო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ისინი ნამდვილად არიან ბორჯომის საამაყო ადამიანები, რომელთა ღვაწლი დიდია ხელოვნებასა და კულტურაში.

ანსამბლი „ბორჯომის" წევრებმა სიმღერით შემოიარეს არა მარტო საქართველოს კუთხეები, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები, ბალტიისპირეთის ქვეყნები: უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს მათ სიმღერებმა, შინ კი დიპლომებით, ლაურეატის, გრანპრის მფლობელების წოდებებით ბრუნდებოდნენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წლების მანძილზე სამცხე-ჯავახეთის მხარეში და მეზობელ რაიონებში ერთადერთი ანსამბლი იყო, სადაც მათი სიმღერები ამშვენებდა იქ გამართულ სახალხო დღესასწაულებს.

ანსამბლ „ბორჯომის" წევრებს და მათ ხელმძღვანელებს **იანგო ურჩაძეს, რობერტ ნადირაძეს** და **გიორგი ბუგიანიშვილს** გულწრფელად მიულოცეს ნახევარსაუკუნოვანი საიუბილეო დღესასწაული კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა **გაიოზ დვალიშვილმა,** მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების უფროსმა **შალვა გოგოლაძემ,** გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ**, მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** რაიონული ბიბლიოთეკის ღონისძიებების კოორდინატორმა, ანსამბლის ყოფილი აქტიური წევრის, აწ გარდაცვლილის ალექსანდრე (ტაია) სალაღაიას მეუღლემ **ნანა ჩაჩანიძემ** თავის გამოსვლაში ამაღელვებელი სტრიქონები უძღვნა ანსამბლის წევრებს, გაიხსენა სახასიათო ეპიზოდები, რომლებიც არაერთი იყო ანსამბლის წევრის ცხოვრებაში, აღნიშნა ანსამბლის 40 წლის იუბილეს აღნიშვნის ფაქტი და მის მომზადებაში ქალბატონ **ვიოლეტა ბალახაშვილის** დიდი დამსახურება. თავისი ემოციური გამოსვლა შესანიშნავი ლექსით დაასრულა.

ძველი თაობის მოღვაწეობას ღირსეულად აგრძელებენ ახალაზრდები და მათთან ერთად ბიჭუნების ახლადშექმნილი გუნდი, რომელთა პრეზენტაცია იმ დღეს გაიმართა. ისინი შესანიშნავად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

გვჯერა, რომ მომავალი თაობა, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა, ანსამბლის ღირსეული მომღერლები გახდებიან.



ანსამბლის სამივე თაობას და მის ხელმძღვანელებს მიულოცეს საიუბილეო თარიღი, უამრავი წარმატება და ჯანმრთელობა უსურვეს, მადლიერების სიგელები გადაეცათ ღვაწლმოსილ მომღერლებს, ამასთან მუნიციპალიტეტის მერის განკარგულებით ძველი თაობის მომღერლები 500-500 ლარით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიების დასასრულს ძველმა და ახალმა თაობამ მსმენელს ერთობლივად შეუსრულეს შესანიშნავი „ჩაკრულო".

აღსანიშნავია ანსამბლ „ოქტავას" ბრწყინვალე გამოსვლა.

29 ოქტომბერს სამაუწყებლო ტელევიზიის დილის გადაცემაში ანსამბლის ხელმძღვანელმა გიორგი ბუგიანიშვილმა მადლობა გადაუხადა ბორჯომელებს და ყველა გულშემატკივარს, ვისაც ახარებს ანსამბლის წინსვლა, ამასთან მადლობა გადაუხადა ტელევიზიის ხელმძღვანელებს, ანსამბლ „ბორჯომის" დიდი დაფასებისათვის. ტელეწამყვანებს და მსმენელებს ანსამბლის წევრებმა შესანიშნავი სიმღერაც შეუსრულეს სახსოვრად.

ბორჯომელებს გვახარებს კულტურული ცხოვრების აღორძინება, ისიც, რომ ბორჯომში შეიქმნა ბიჭუნების ანსამბლი, რაც დიდი მოვლენაა ჩვენი ქალაქისათვის. (პირადად მე ოცნებად მქონდა გადაქცეული ბიჭუნების ანსამბლის შექმნა).

წარმატებებს ვუსურვებთ ანსამბლ „ბორჯომის" ახალ შემადგენლობას, ბორჯომელთა სახელით მადლობას ვუხდით ვეტერან მომღერლებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. მწამს, მათი ღვაწლი მომავალში ღირსეულად დაფასდება და კულტურის ცენტრის წინ საპატიო „ვარსკვლავს" გაუხსნიან.

**ვალერიან ლომიძე.**

## ვიზრუნოთ ექსპლოატაციაში მყოფ შენობებში სითბოს შენარჩუნებისათვის!

# ქუჩებში ნუ გავათბობთ ჰაერს ზამთარში და ნუ დავარღვევთ ეკოლოგიურ ბალანს დედამიწაზე

**საქართველო** მთაგორიანი ქვეყანაა. ქალაქები და დასახლებული პუნქტები ზღვისპირეთიდან მთიან ზონებამდე 2000 მეტრ და მეტ ნიშნულებზეა განლაგებული, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი 7-8 ბალიანი სეისმიური აქტიურობით, ზამთარში ზოგან რბილი და ზოგან მკაცრი კლიმატური პირობებით, ირიბი წვიმებითაც და ა.შ. ცხადია, ადამიანთა ცხოვრების და საქმიანობისათვის შესაბამისი გარემოს შექმნაა საჭირო, რაც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების კომფორტმა საექსპლოატაციო მდგომარეობა უნდა უზრუნველყოს.

ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის აცნობიერებდა აღნიშნულს და ნესტის შემცველ რეგიონებში ამჯობინებდა, ხის მასალისაგან აგებულ სახლებში ეცხოვრა, ხოლო მრავალ რეგიონებში მაცხოვრებლები ბუნებრივი ქვებით ან აგურით იშენებდნენ სახლებს.



ახლა სამშენებლო ბაზარი გაჯერებულია სხვადასხვა ტიპის მძიმე და მსუბუქი წონის კედლების ამოსაშენებელი და თბოსაიზოლაციო ფოროვანი ან რულონური მასალებით, რომელთა სწორი შერჩევითა და კვალიფიციური მშენებლობით შეგვიძლია შევიქმნათ მყუდრო საცხოვრებელი პირობები.

ირიბი წვიმები შეგნებულად ვახსენე. როცა წვიმაც მოდის და ქარიც უბერავს, მაშინაც სველდება კედლები და ფანჯრები. თუ დასახლება ტენიანობით ხასიათდება, შენობების შემომზღუდავი კედლები გამოშრობას ვერ ასწრებენ, ტენიანობა კედლის მთელ სისქეზე ვრცელდება და ბინებში შმორის სუნი დგება. ამის მკაფიო მაგალითია აჭარა და განსაკუთრებით ზღვისპირა დასახლებები.

მოქმედ სამშენებლო ნორმები **„სამშენებლო კლიმატოლოგიაში“** საქართველოს 161 დასახლებული პუნქტისათვის გათვალისწინებული. მათთვის ყველა ცნობილი კლიმატური მოვლენის მახასიათებლების მონაცემებია ჩამოწერილი წლის სხვადასხვა პერიოდში.

ჩემი ხანგრძლივი 50-წლიანი საექსპერტო მოღვაწეობის პერიოდში არც ერთ საპროექტო დოკუმენტაციაში ირიბი წვიმები ნახსენებიც არ ყოფილა. აღნიშნული ნორმების მიხედვით ქალაქ ბათუმში ნალექების რაოდენობა წელიწადში 2599 მმ-ია (უფრო მეტია მის გარეუბანში „შუქურა“ 2685მმ), დღეღამური მაჩვენებელი 231 მმ, ირიბი წვიმების რაოდენობა წლიური მაჩვენებლებით 840 მმ-ია. თუ ბათუმში და სხვაგან შენობების გარე შემზღუდავი კედლები ამოყვანილია, მსუბუქ ბეტონებზე დამზადებული ბლოკებისაგან, შელესილიც რომ იყოს, ნოტიო ჰაერის, გაჯისა და ხშირი წვიმების პირობებში გამოშრობას ვერ ასწრებს, კაპიტალური შეწოვისაგან კედელი მთელ სისქეზე ნესტიანდება და ბინებში შმორის სუნი დგება.

161 დასახლებული პუნქტიდან ირიბი წვიმები დასახლებაშია გამოვლენილი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებიდან ბაკურიანში ნალექების წლიური რაოდენობა 935მმ-ია, ირიბი წვიმებისა - 114მმ, ბორჯომში შესაბამისად 633 და 126მმ, წაღვერში - 853მმ, ირიბ წვიმებზე ცნობები არ არის და ა.შ.

აღნიშნულის გამო აჭარაშიც და დასავლეთ საქართველოს ბევრ დასახლებულ პუნქტი მოსახლეობა ბინებში კომფორტის უზრუნველსაყოფად ფასადებს თუნუქის ფურცლებს აკრავს.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტებით ცხოვრების წესების დანერგვას. მათ შორისაა ენერგოდამზოგველობის ღონისძიებების გატარება სამშენებლო, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში. ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიო მასშტაბით ენერგორესურსების (ელექტროენერგია, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, ხის მასალები) 40% საყოფაცხოვრებო და სოციალური დანიშნულებისათვის მოიხმარს მოსახლეობა, 28%-ს მრეწველობა, ხოლო 32%-ს ექსპლოატაციის საჭიროებისათვის ინდივიდუალური, საქალაქო და სარკინიგზო ტრანსპორტი, ასევე სხვა ორგანიზაციებიც, ენერგორესურსებზე მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება, რაც ასევე საჭიროებს ახალი ელექტრო, თბო, ატომური სადგურების და სხვათა მშენებლობას, აგრეთვე ნავთობის და გაზის ახალი საბადოების ათვისებასა და ქვანახშირის მოპოვების გაზრდას. სტატისტიკური მონაცემებით მომდევნო 20 წელიწადში მოთხოვნილება ენერგორესურსებზე 50 პროცენტით გაიზრდება.

XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე სხვა პრობლემათა შორის განსაკუთრებით სიმწვავით გამოიკვეთა ენერგორესურსების ეფექტური მოხმარების და გარემოს დაცვის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშეც შეუძლებელი იქნება კაცობრიობის მდგრადი მომავალი. მისთვის სასიცოცხლო პრობლემად იქცა ბალანსირებული პოლიტიკის გატარება გარემოს დაცვასა და ენერგიის მოხმარების უზარმაზარ მასშტაბებს შორის ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ყველაზე ცივი ხუთდღიური პერიოდის გათვალისწინებით საშუალო ტემპერატურები ქ. ბათუმში (მინუსებში) - 1, ბაკურიანში - 15, ბორჯომში - 11, წაღვერში - 12, ახალციხეში - 13, ქუთაისში - 3 გრადუსია, ხოლო საშუალოდ ყველაზე ცივი პერიოდისათვის ვერტიკალური სვეტის მიხედვით ბაკურიანში - 21 გრადუსი, თბილისში, მთაწმინდაზე - 21 გრადუსი და ა.შ. პროექტის შესადგენად ვხელმძღვანელობთ ხუთდღიური პერიოდის გათვალისწინებით. თუ დამკვეთმა საჭიროდ ჩათვალა მაქსიმალური ან საშუალოზე მეტი მაჩვენებლის გათვალისწინება (გათბობაზე ფულს ინვესტორი ხარჯავს) საჭიროა მისი ნებასურვილით ვიხელმძღვანელოთ. ბინაში ან სასტუმრო ნომერში მეტი სიმძლავრის რადიატორების დაყენება გახდება საჭირო.

ქალაქებსა და დასახლებებში შენობათა კედლების შემადგენლობა და სისქე სხვადასხვა მიდგომებით უნდა დაპროექტდეს და აშენდეს. მე პირადად მიმაჩნია, რომ მრავალსართულიან შენობებში ფასადების მოწყობა უფრო ეკონომიურია რამდენიმე შრიანი შემადგენლობით. ფასადების მხარეზე სასურველია ეკონომიურია რამდენიმე შრიანი კედელი მოეწყოს მძიმე ბეტონზე დამზადებული ნესტგამძლე ლრუტანიანი 20 ან 30სმ სისქის ფილებით.

საერთოდ ფილების აკვრა ნორმებით რეკომენდებულია პირველი სართულის დონეზე. მიწისძვრების ან ძლიერი ქარის პირობებში ჩამოცვენილან კიდეც და სამეცნიერო ჟურნალებში უბედური შემთხვევებიცაა დაფიქსირებული.

ჩემი საპროექტო და საექსპერტო გამოცდილებით გირჩევთ იხელმძღვანელოთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის“ მიერ 2014-2020 წლებში შპს „სიხარულიძის ფილა“ დირექტორის, მშენებლობის მენეჯმენტის სპეციალობის აკადემიური დოქტორის რევაზ სიხარულიძის სახელზე გაცემული პატენტებში დაფიქსირებული ხუთი გამოგონებით. მათი დასახელებებია.

1. **ასაწყობ მონოლითური გადახურვა** (GEU 2014/ 1836Y);
2. **არმატურის კარკასი თბოიზოლირებული გადახურვის ფილისთვის** (GEU 2019/2016Y);
3. **„სიხარულიძის კედელი“** (GEU 2020 /2024Y);
4. **„გლინულას სალუნი მოწყობილობა“ (GEU 2019/ 2023Y);**
5. **მოწყობილობა ორფენიანი ბლოკის დასამზადებლად“** (GEU 2020/2036V);

მათგან 1,2 და 3 გამოგონებას აწერია „ენერგოდამზოგველი“ და რეკომენდებულია მსოფლიოში გამოსაყენებლად. ინოვაციურობათან ერთად მნიშვნელოვანია შემდეგი:

აღნიშნული პატენტებიდან პირველი, მეორე და მესამე სამშენებლო კონსტრუქციებზეა, ხოლო ორი მეოთხე და მეხუთე მათ დამამზადებელ მოწყობილობებზე. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ გამოიკვლია აღნიშნული ნაკეთობების ნიმუშები, მაგალითად, საკედლე ორფენა ბლოკისათბის დაადგინა თბომედეგობის მაჩვენებელი Rლ-2მ$^2$კ/ვატი, ხოლო თბომედეგობის კოეფიციენტია Vბლ0.31-ვატს/მ$^2$კ. აღნიშნული მაჩვენებლებია შესაბამისობაშია ევროპის მოწინავე ქვეყნებში დადგენილი ნორმატივებთან, გერმანიაში, დანიაში, შვედეთში თბომედეგობის მაჩვენებლები ($R_0$) კედლებში და გადახურვებში 3-დან 4მ$^2$ კ/ვატამდეა, ხოლო გადახურვებში 3-დან 5მ$^2$კ/ვატამდე.

**რევაზ მახვილაძე,**
**პროფესორი, მშენებლობის ექსპერტი**
**(გაგრძელება იქნება)**

# კიდევ ერთი ქართული ნონსენსი!

**სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან ადამიანებს, რომლებიც დასაქმებაზე უარს იტყვიან, შესაძლოა, სოცდაუცველის სტატუსი გაუუქმდეთ. ამჟამად დაახლოებით 200 000 შრომისუნარიანი ადამიანი იღებს სახელმწიფო შემწეობას და პარალელურად თავს არიდებს მუშაობას. ეს კატეგორია აკლდება შრომის ბაზარს და ბიზნესს, რომელიც ბოლო პერიოდში კადრების მწვავე დეფიციტს განიცდის.**

ახალ მექანიზმზე მუშაობა სახელმწიფოს უკვე დაწყებული აქვს, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი კაკაურიძემ** განაცხადა, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ უნდა იყოს იმისკენ მიდრეკილი, რომ მოსახლეობამ არ იმუშაოს.

**„შრომისუნარიანი უნდა მუშაობდეს. ამ მიზნით გვაქვს ჩვენ სწორედ საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამა. ეს არის პირველი ეტაპი. პროგრამამ მინიმუმ 2-3 წელი უნდა იმუშაოს. შემდეგში კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების ათვისება უნდა დავიწყოთ, მათ შორის, კერძო სექტორში ათასობით ვაკანსიაა, რომელსაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ იყენებს ის მოსახლეობა, რომელსაც აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი.**

**ჩვენი მიდგომა იქნება, რომ ეტაპობრივად შევძლოთ, მაქსიმალურად დასაქმდნენ ეს ადამიანები და ნაცვლად სოციალური შემწეობისა, თავიანთ შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებულნი. ცალკე თემა იქნება, რომ ჩვენ სოცდაუცველებს, ვინც დასაქმდებიან, შევუნარჩუნებთ პაკეტს, რაც აქვთ, მაგრამ ამავე დროს, შრომისუნარიან ადამიანები უნდა იყვნენ მიდრეკილნი, რომ კერძო სექტორში იმუშაონ“** - განუცხადა **კაკაურიძემ** „ინტერნიუსს“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამუშაოებში ჩართვის სურვილი ბიზნესის მხრიდანაც არაერთხელ გამოითქვა, თუმცა როგორც კერძო კომპანიების წარმომადგენლებისაგან ირკვევა, ბენეფიციართა კატეგორია დასაქმებაზე უარს ამბობს. ისინი შემწეობის დაკარგვის შიშით უარს ამბობენ უფრო მეტ შემოსავალზე, რომლის გამომუშავების შესაძლებლობა ეძლევათ.

ეკონომისტები ახალ მოდელზე მუშაობას დადებითად აფასებენ და იმასაც ამბობენ, რომ გადაწყვეტილება მალე უნდა მიილონ, რათა დროში არ გაიწელოს. სოციალური დახმარება არ შეიძლება ყველას მიეცეს. „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტის **პაატა შეშელიძის** შეფასებით, დღესდღეობით უამრავ შრომისუნარიან ადამიანს ეძლევა შემწეობა, რაც ნონსენსია.



**თუ შრომისუნარიანი შემწეობის მიმღები უარს იტყვის მუშაობაზე, მას დახმარება შეუწყდება?!**

**ეს არის დახმარება, რომელიც უმწეო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ენიშნება. ისეთ ადამიანს, ვისაც რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვს, ტრამვა და ამის გამო ვერ მუშაობს, ან ასაკშია და ა.შ. ანუ, იმ ადამიანზეა საუბარი, ვინც არ არის ფიზიკურად შრომისუნარიანი.**

**დღეს ყველამ იცის, რომ უამრავ შრომისუნარიან ადამიანს ეძლევა შემწეობა, რაც ნონსენსია. სამწუხაროდ. ეს ყველაფერი არ ფორმდება სათანადოდ. ინფორმაცია ყალბდება, ჯანმრთელობის მდგომარეობაც ყალბდება და სრულიად შრომისუნარიანი ადამიანი, რომელსაც აქვს არალეგალური სამუშაო, ითვლება სოციალური დახმარების მიმღებად, რაც არასწორია.**

**იქიდან გამომდინარე, მკაცრად უნდა გაიყოს თვითონ ამ დახმარების არსი, მისი ფორმაც და პრინციპიც. ყველაფერს ერთი და იგივე სახელი არ უნდა დაერქვას, რადგან დამაბნეველი არ უნდა იყოს მიდგომა, თუ ვის რა შემთხვევაში და როგორი პირობით ეხმარები“...**

**2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საარსებო შემწეობა 650 475 მოქალაქემ მიიღო. მათგან 233 ათასზე მეტი ბავშვია. საბოლოოდ, აგვისტოს მონაცემებით, მთავრობის მიერ 2022 წლის პირველი მარტიდან ამუშავებული სპეციალური პროგრამით 43 304 ადამიანი დასაქმდა.**

**ბექა დანელია.**

# ფოთოლცვენა ბორჯომის ბაღ-პარკებში

**შემოდგომა** ულამაზესი პერიოდია ბორჯომის ხეობაში. თვალწარმტაცი ხედები კიდევ უფრო მეტად იზიდავს ბუნების მოყვარულებს. გასულ კვირას ფოთოლცვენის პერიოდს კითხულობდნენ, თუ როდის ნახავდნენ გზებზე დაფენილ ფოთლებს ბორჯომში, ისეთს სიარულისას ფოთლების გაკვალვა, რომ გიწევს.

პასუხი იმდენად სასიამოვნო და იუმორის მომგვრელი იყო, თქვენც, ჩვენს ერთგულ მკითხველს მსურს, რომ გაგიზიაროთ.



- ბორჯომში დასუფთავების სამსახური ისე მუშაობს, მსგავს ფოთოლცვენას ველარ ნახავთო!...

ასე დაამშვიდეს ბორჯომში შემოდგომის ხილვის მსურველი მოქალაქე, რომელსაც უხვად დაფენილი ფოთლებისა და ფოთოლცვენის ნახვა სურდა.

მეც იმ მოქალაქეთა შორის ვარ, რომელსაც ფერადი ფოთლები ნაგვის ურნაში ჩასაყრელად არ ემეტება, იქამდე მაინც, სანამ გარემოს თავისი მომხიბვლელობით, შინაარსითა და განტვირთვით ახალისებს და ზრუნავს ადამიანის გუნება-განწყობაზე.

თუმცა, მართლაც რომ ყოველ დილას ჯერ კიდევ გათენებული არ არის, როცა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, მოვალეობების შესრულებას იწყებენ და ბორჯომის ქუჩები ბორჯომელებს დასუფთავებული და ფოთლებისგანაც გაწმენდილი ხვდებათ. ხოლო ნებისმიერ ბორჯომელს, რომ ჰკითხოთ, არაერთ ადგილს მიგასწავლიან, სადაც შეძლებთ ფოთოლცვენისა და პარალელურად ულამაზესი ბორჯომის ხედებით ტკბობას თქვენი სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, ამიტომ ბევრი ფიქრი და კითხვა სულაც არაა საჭირო, იმისათვის რომ ბორჯომს შემოდგომითაც ეწვიოთ. ბორჯომის დასუფთავების სამსახურს კი ყველამ ერთად მადლობა ვუთხრათ, შექმნილი კომფორტისათვის და იმ სამუშაოების პირნათლად შესრულებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ქუჩებისა და უბნების დასუფთავებას.

თავად მოქალაქეებიც ვალდებულები არიან იზრუნონ ქალაქის სისუფთავესა და სილამაზეზე, დანარჩენს ბუნება თვითონ გვჩუქნის, შეუდარებელი ფერების გამითა და დიდებულებით. სწორედ ასეთია შემოდგომა ბორჯომში, ყველა ფერი რომ ბუნების ერთ ჰორიზონტში შეიძლება დაინახო.

**ია იანვარაშვილი**

### 27 ოქტომბერი იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეა!

# ქართული განათლების მესაძირკვლე




**იაკობ გოგებაშვილის** „დედა ენამ“ სასახელოდ გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას. ამ წიგნზე ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობები აღიზარდნენ. „დედა ენით“ ხელში მიდის პირველსავე დღეს სკოლაში ჩვენი მომავალი - მომავალი ოცდამეერთე საუკუნისა!

დიდმა იაკობმა სასკოლო სახელმძღვანელოებით - **„ქართული ენით“ და „ბუნების კარით“** საფუძველი ჩაუყარა მშობლიურ ენაზე სწავლების მეცნიერულ მეთოდს. იგი წერდა:

**- სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ დაუდგება, ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე**.

მართლაც, „დედა ენა“ სული უნდა იყოს სკოლისათვის. ამ წიგნმა მოსწავლეც უნდა გამართოს კითხვაში, გონება გაუღვიძოს და შეასწავლოს თავისი სამშობლო ენა, ე.ი. მეტყველი გახადოს. იაკობმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა ქართული სახელმძღვანელოების შექმნას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას.

როცა დედაენას ახსენებენ, გინდა თუ არა, აუცილებლად გაგახსენდება სიფრიფანა წიგნი - **„დედა ენა“** და გენიალური პალინდრომი: **აი ია.** ამ დიდმა კაცმა ორი ასო - ნიშნის გაცნობის შემდეგ ბავშვს შეაძლებინა დაწეროს მთელი წინადადება: **აი ია.**

იაკობ გოგებაშვილის ნაწერებში ნახავთ მისი მშობლიური სოფლის, ვარიანის ძალიან თბილ და ლამაზ აღწერას, მაგრამ ერთი პატარა საიდუმლო ის არის, რომ რაც 16 წლის შესრულდა და სოფლიდან წამოვიდა, იაკობი ვარიანში აღარ ყოფილა. ეს გაბუტვის ბრალი არ იყო, ავადმყოფობის მიზეზი იყო. მას მიაჩნდა, რომ მისი ჯანმრთელობისათვის საჭიროა ორი ადგილი საქართველოში - **სურამი და ბორჯომი**. იკითხავთ რატომ? ახალგაზრდობაში ტუბერკულოზით ყოფილა ავად, ამიტომ ყოველთვის დიდი სიზუსტით უვლიდა თავს.

**ყველაზე გასახარი რამ, რაც ამ ბოლო დროს დადასტურდა, არის ის, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რის თანახმადაც ქართულ სკოლებში საანბანო სახელმძღვანელოდ დიდი იაკობის „დედა ენა“ იქნება.**

ადაპტირებულ ვერსიაში შენარჩუნებული უნდა იყოს საზოგადო მოღვაწის ძირითადი მეთოდი, პრინციპები, მასალა. არქაული, ძველი ლექსიკა მცირედით შეცვლილია, თანამედროვეობასთან დაახლოვებული.

იდეის ავტორი ჩვენი ბრძენი პატრიარქი - უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორეა.

**ციალა წკრიალაშვილი,**
**დამსახურებული პედაგოგი, მედლის მფლობელი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე.**

# უხარისხოდ გაკეთებული დანაშაულია!

**გაზეთი „ბორჯომი“ საავტორო წერილებთან ერთად ცდილობს ხშირად დაუთმოს ადგილი ქუჩის გამოკითხვებს, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ყველა სიახლეზე შესაბამისი რეაქცია აქვთ. მათ არც ნეგატიურზე და არც პოზიტიურზე არ უჭირთ ხმამაღლა საუბარი.**

**2023 წელი სადაცაა დასასრულს მიახლოვდება და სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ თანამოქალაქეებს ერთგვარი შეფასება ვთხოვეთ:**

**მაია ქალიაშვილი:** - სულ ვადევნებ თვალს, რა რაიონში კეთდება, რაც კარგია იმასაც და რაც ცუდია ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალს. მიხარია, ზებრა გადასასვლელებს რომ საშველი დაადგა, მთელი ზაფხული შიშით გადავდიოდით ქუჩაზე.

**ნია დუმბაძე:** - გზები კეთდება, ჩიხები, სკოლების რებილიტაცია მიმდინარეობს მართლაც რომ ავარიულ მდგომარეობაში იყო წლებია და ბოლოს და ბოლოს იქ ხომ ბავშვები სწავლობენ!არ უნდა უწევდეთ მშობლებს იმაზე ფიქრი, რომ ავარიულ შენობაში უშვებს შვილს და ისინი იქ საფრთხის წინაშე დგანან. გზები ვახსენე, თუმცა გაკეთების მიუხედავად მაინც ხელახლა გასაკეთებელი ხდება ყოველ წელს.



**ნოდარ მაღრაძე:** - ძალიან მომწონს კოსტავას ბაღი, არაჩვეულებრივად დაგეგმილი პროექტია, თანამედროვე სივრცეა ყველა ასაკის ადამიანისთვის.. თუმცა, გარკვეულ შენიშვნებს მაინც შევიტანდი რამდენიმე ატრაქციონთან დაკავშირებით. როდესაც მოქალაქე აღმოაჩენს რაღაც უარყოფითს და მართლაც ყურადსაღებს, მერე ცდილობენ, ხოლმე გამოსწორებას. ისე უნდა გააკეთონ, რომ შიში არ გქონდეს მოზრდილი იქნები თუ ბავშვი, გაყვანილობა იქნება თუ რაიმე სხვა, არ გავნოს და არ დაგაზარალოს. უსაფრთხოების ზომებზე ნაკლებად ამახვილებენ სამწუხაროდ, ყურადღებას.

**მედეა მიქელაძე:** - №1 საჯარო სკოლასთან რომ წყლის ბიუვეტი გააკეთეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო იყო, მაგრამ ამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა, რატომ? იმიტომ რომ, იქ წყალი არ მოდის, წყურვილით რომ კვდებოდე, წყალს ახლომახლო ვერ დალევ. მუსიკალურ სასწავლებელთან კი არის, მაგრამ იქ ხშირად ძაღლები უფრო სვამენ, ვიდრე ადამიანები, აქედან გამომდინარე, ჩემთვის მიუღებელია, რომ იქ წყალი დავლიო.

**თემურ კიკნაძე:** - სადაც გაიხედავ, ყველგან მანქანები დგას. ქალაქის ცენტრში მიუღებელია ასეთი გადატვირთული ტერიტორიები. ფიზიკურად, ვერც ფეხით მოსიარულე ველარ სარგებლობს და ვერც ტრანსპორტით. პარკინგს ვერა და ვერ დაადგა საშველი.

**სედა თორჩიანი:** - ქალაქში გახვალ თუ სოფლებში, ყველაგან უპატრონო ძაღლები დადიან. კი მაგრამ, წლების წინ რომ ქუჩის ძაღლები ჩვენ უჩუმრად მიყავდათ და არაფერს არ იძახდნენ ან ვინ გვკითხავდა რამეს? ახლა გამოდიან ცხოველთა დამცველები ტრანსპარანტებით და აბა გაბედე და ცხოველზე აუგი თქვი? ცხოველთმოძულეებად შეგრაცხავენ. მაგრამ სამწუხაროა, რომ მათნაირებმა გამოყარეს წლების წინ საკუთარი სახლებიდან უკვე გაზრდილი ძაღლები და გამრავლდნენ ქუჩაში.

**ნიკა გელაშვილი:** - ჯერ იყო ყვიბისთან მისასვლელი გზა ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა. განსაკუთრებით კი ზაფხულის სეზონზე, მაგრამ მგონი, დააყენეს საშველი და დაიწყეს მუშაობა, მაგრამ რად გინდა? ყვიბისის ხიდთან არსებული გაჩერება სადაცაა, რაღაც გარკვეული სახის ბარდიური თუ სანიაღვრე დააყოლეს და ვერც ავტობუსი აჩერებს გაჩერებაზე და ვერც ჩვეულებრივი ტრანსპორტი. საერთოდ, რა ჩანაფიქრი და დანიშნულება აქვს ბორდიურს თუ სანიაღვრეს მართლა არ მესმის. სხვათა შორის, ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ყველას უკმაყოფილებას იწვევს აღნიშნული ფაქტი.

**ნინო გოგოლაძე:** - მახარებს არაჩვეულებრივად გაკეთდა გზის პირას მდგარი საცხოვრებელი კორპუსების ფასადები, ახლაც მუშაობენ ახალშენში არსებულ კორპუსებზეც და ვიმედოვნებ, რომ ისინიც ულამაზესი გამოვა. ქალაქის ცენტრი-ცენტრს დაემსგავსა, რაც წლების წინ არ იყო, პირველი სკოლის სკვერიც მომწონს ძალიან. გასართობი სივრცეებიც. ერთი რასაც ვისურვებდი, ცოტა მეტი ყურადღება მიაქციონ სამუშაოების ხარისხს. გაკეთებულის ხელახლა გაკეთება არ უნდა გახდეს საჭირო.

**მოამზადა ნატო მესხელმა**

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

**ახალდაბაში, აკაკი წერეთლის ქუჩის დასაწყისში, ცხოვრობს ორი ძმა მალხაზი და აკაკი გაჩეჩილაძეები, რომელთა ერთგული მუშაობის, კაი კაცობის და ადამიანობის შესახებ მინდა ვამცნო გაზეთ „ბორჯომის“ ერთგულ მკითხველებს.**



მშრომელ და პატიოსან ოჯახში გაზრდილ ძმებს, ერთი დაც ყავთ, რომელიც ყვიბისშია გათხოვილი, ბავშვობიდანვე გრძნობდნენ, რომ მხოლოდ სწავლით, პატიოსანი შრომით შეიძლება შექმნა შენი ცხოვრების მომავალი, გააგრძელო

## სიყვარულით ნაშენები ძმური ურთიერთობა

ოჯახური ტრადიციები, იყო არამარტო ახლო მეზობელი, არამედ თანადაბელთათვის მისაღები პიროვნება, ახლობლებისა და ნათესავებისათვის საფიცარი, სასურველი ადამიანი.

ძმებს შორის მალხაზი უფროსია, რომელმაც თავისი შრომისმოყვარეობით, სწავლით, ერთგულებით, უფროსებისადმი პატივისცემის გამოხატვით, მშობლების ამაგის დაფასებით, არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაში სამაგალითო პიროვნების სახელი მოიხვეჭა.

ძმობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა უმცროსი ძმა აკაკიც, რომელსაც მოფერებით კაკოს ეძახიან.

ძმებმა მას შემდეგ, რაც ოჯახები შექმნეს, გააორმაგეს შრომითი საქმიანობა, განათლების შებაბამისი პროფესიები ამ შემთხვევაში გადარჩენისათვის არ გამოდგებოდა, მშობლებთან ერთად მოილაპარაკეს და მამის აშენებული სახლის პირველი სართულის ნაწილი ხის დამუშავების მინი საამქროდ გაადაკეთეს. საწყის ეტაპზე ერთი თვითნაკეთი დაზგის იმედად იყვნენ. შემდეგ წლებში, ცოტა რომ ამოისუნთქეს, სხვა თვითნაკეთი დაზგებიც მიუმატეს და ოდნავ გაიუმჯებესეს შრომის პირობები, მანამდე კი იქვე მდებარე გოჩა ბლიაძის კარგად გამართულ საამქროს იყენებდნენ.

ერთგულ შრომაში გამოიწრთო მათი ოსტატობაც. ერთმანეთისგან და მეზობლებისგანაც ბევრს სწავლობდნენ, მოკლე ხანში თავისი ხელწერაც გამოიმუშავეს. ქმნიან განსხვავებული დიზაინის ავეჯს, რომელიც მომხმარებლებში მოწონებით სარგებლობს.

მთავარი მაინც ის არის, რომ თავიანთი შრომით და ოფლით შეძენილი დანადგარები არ ენანებათ მეზობლებისათვის.

თავდაპირველად მათთვის სათაყვანებელი დის გაბედნიერებას შეუწყვეს ხელი. სიძე კაციც კარგი შეხვდათ და თითით საჩვენებელი ურთიერთობა აქვთ. ძმებმა შესანიშნავი ოჯახები შექმნეს, მალხაზის მეუღლე, ქალბატონი ხათუნა ის ქალბატონი აღმოჩნდა, რომელმაც ქმრის დიდ ოჯახს, თავისი ერთგულება პირველივე დღეებიდან დაუმტკიცა, მეუღლეს გვერდით დაუდგა ოჯახისათვის საჭირო საქმიანობაში.

შემდეგ, როდესაც უმცროსი ძმაც გაბედნიერდა, ნანატრი მეუღლე, ქალბატონი ნინო შეირთო, ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

ძმების მამა, ბატონი ოთარი, ადრე გარდაიცვალა, ამ მთასავით კაცის სიკვდილმა მეზობლებისა და ნათესავ-მეგობრების გულებში დიდი ტკივილი გამოიწვია. დაქვრივებულ დედას, ქალბატონ ჟუჟუნას გარდაცვალებამდე შვილების და რძლების ყურადღება არ მოკლებია, თვითონ კი შვილიშვილების დაფრთიანებაში ეხმარებოდა შვილებს.

ერთ სახლში ორი ძმა ვერ დაეტეოდა, მოილაპარაკეს და უფროს ძმას, მალხაზს ხელი შეუწყვეს, რომ მეზობლად არსებული სახლი ეყიდა და მთელმა ოჯახმა თანამედროვე იერსახის მისაცემად დიდი შრომა გასწია. ძმები ტერიტორიულად მცირედით დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ძმობის სიყვარულისა და ერთგულებისათვის ზიანი არ მიუყენებიათ, ერთად არიან გაჭირვებასა და დალხინებაში. ყოველი დღე ერთმანეთის მოკითხვით იწყება, შვილებიც ამ სულისკვეთებით იზრდებიან.

მალხაზის უფროსმა შვილმა, სალომემ, წარმატებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკისა და მაღალი ტექნოლოგიების ფაკულტეტი, პროფესორ-მასწავლებლებმა რეკომენდაცია გაუწიეს და უნივერსიტეტში დატოვეს სამეცნიერო მუშაობისათვის. დღეს სალომე ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და ერთ-ერთ ლიცეუმში. აღსანიშნავია, რომ მონდომებული და ნიჭიერი ლექტორი სადოქტორო ხარისხის მოპოვებიათვის ილვწვის. სალომემ ონლაინ რეჟიმში ჰარვარდის უნივერსიტეტიც დაამთავრა და მიღებულ ცოდნას მშობლიურ უნივერსიტეტში იყენებს.

უფროსი დის კვალს გაჰყვა გიორგიც, რომელმაც ცხოვრების მნიშვნელოვანი გზა გაიარა და დის პროფესია აირჩია, ოღონდ თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.

წარმატებული შვილებით მართლაც შეუძლიათ იამაყონ მშობლებმა, რომლებიც კეთილსინდისიერი შრომით ხელს უწყობენ მათ სწავლასა და მოღვაწეობაში.

უმცროს ძმას აკაკის სასკოლო ასაკის შვილები ჰყავს და აკაკიც და მისი მეუღლეც ნინო შვილების უკეთესი მომავლისათვის ილვწვიან.

მთავარი სათქმელი კი ის არის, რომ ძმები ცხოვრების საუკეთესო მაგალითს აძლევენ ირგვლივ მყოფებს, რომ იტყვია, გაჭირვების ტალკვესები არიან, ყველას ერთგულად ეხმარებიან.

მე, როგორც ამ წერილის ავტორს მიხარია, რომ ასეთ ადამიანებზე, მათ ქცევასა თუ გარჯაზე მიწევს წერილების მომზადება, რამე თუ სწორედაც, რომ ასეთი ადამიანების ცხოვრება და შრომითი საქმიანობა უნდა იყოს მომავალი თაობების ორიენტირი.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# №6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დაიწყო



**ბორჯომის №6 საჯარო სკოლა, რომელიც 1958 წელს აშენდა, მას შემდეგ არ გარემონტებულა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია ,,საბა კონტრაქშენი“ განახორციელებს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად აღნიშნული საჯარო სკოლის 356 მოსწავლე სწავლას ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში, მეორე ცვლაში მანამდე გააგრძელებს, ვიდრე სამუშაოები ბოლომდე არ დასრულდება. რა შეიცვლება და როდიდან გააგრძელებენ მოსწავლეები ახლადგარემონტებულ სკოლაში სწავლას, ბორჯომის №6 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ხაჩიძეს გავესაუბრეთ:**

● **რამდენად მომზადებული დახვდნენ აღნიშნულ სიახლეს როგორც პედკოლექტივი, ასევე მოსწავლეები და მშობლები?**

- ფაქტიურად, შემზადებულები შევხვდით ამ სასიხარულო ამბავს და ისიც ვიცოდით, რომ მეორე ცვლაში მოგვიწევდა სწავლა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბორჯომის №3 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ხათუნა ხარაზიშვილს, რომელმაც ყველანაირი კომფორტი შექმნა იმისათვის, რომ გვქონოდა საკლასო ოთახები და სწავლის პროცესი შეუფერხებლად წარმართულიყო. სწავლას ვიწყებთ ორი საათიდან და შვიდი გაკვეთილის ჩათვლით ვასრულებთ შვიდ საათსა და ორმოც წუთზე



● **ძირითადად რას მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოები და როდის დასრულდება?**

- სამუშაოების ფარგლებში სრულად შეიცვლება იატაკი, სახურავი, კიბის გარკვეული ნაწილი, კარ-ფანჯრები და რაც მთავარია, სრულიად გამოიცვლება გათბობის სისტემაც. რაც შეეხება სამუშაოების დასრულებას ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ წელიწადსა და ოთხ თვეში სრულად დასრულდება და შევძლებთ განახლებულ სკოლაში სწავლას.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

## თენგიზ ამირეჯიბის კონკურს-ფესტივალი 9 წლისაა!

# მუსიკალურმა ფესტივალმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა!

**ოთხი დღის განმავლობაში, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური კონკურს-ფესტივალი მიმდინარეობდა. კონკურსს კომპეტენტური ჟიური აფასებდა. 2017 წელს მას საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა. წელს კი მეცხრედ ჩატარდა. რით იყო გამორჩეული წლევანდელი კონკურს-ფესტივალი და ვინ არიან მისი გამარჯვებულები, ამასთან დაკავშირებით ფესტივალის სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, თამარ ლიჩელს ვესაუბრეთ:**



● **რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ფესტივალი ახალგაზრდა მუსიკოსების წარმოჩენისათვის, რით იყო გამორჩეული და ვინ იყვნენ მონაწილეები?**

– ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი დატვირთვა აქვს აღნიშნულ ფესტივალს, რადგან ხელს ვუწყობთ ახალგაზრდების წარმოჩენას, ყოველთვის ისეთი ლაურეატები გვყავს, რომლებიც სამომავლოდ ისე ვითარდებიან, რომ საერთაშორისო აღიარებას იხვეჭენ. აღნიშნული ფესტივალი იწყება თბილისში, კონცერტების სახით და შემდეგ გრძელდება ბორჯომში. წლევანდელ წელს რაც შეეხება, თბილისში ჩემთან ერთად უკრავდნენ **ლიზი რამიშვილი** და **ლევან ცხადაძე,** მათ ქართველი მსმენელი კარგად იცნობს. ასევე **გიგი პიანომენი,** რომელიც ძალიან უყვარს ხალხს, იგი თენგიზ ამირეჯიბის აღზდილია, ჩვენი მეგობარია **ვალერიან შიუკაშვილი**, რომელიც ფესტივალის დაარსების პირველივე დღიდანვე ჩვენ გვერდითაა, ასევე გვყავდა ორი უცხოელი პიანისტი ირლანდიელი **ფინინ კოლინზი** და იტალიელი **ლუიჯი კაროჩა,** რომელსაც ფორტეპიანოს არისტოკრატს უწოდებენ.

● **რაც შეეხება მონაწილეებს, რამდენად დიდი მოწონება დაიმსახურეს ჟიურის წევრების მხრიდან?**

– ჟიურის ყველა წევრი აღფრთოვანებული დარჩა ასეთი უმაღლესი საშემსრულებლო დონით და მათ ერთხმად აღნიშნეს ქართველი მუსიკოსი პედაგოგების უდიდესი და არაჩვეულებრივი ნამუშევარი, რაც ნამდვილად საამაყოა ჩვენთვის.

● **პირადად თქვენ როგორ შეაფასებდით ჩვენი ადგილობრივი მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს?**

– მინდა საგანგებოდ გავუსვა ხაზი იმას, რომ საოცრად კარგი მონაწილეები გვყავს ყოველ წელს ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლიდან, რაც მეტად საამაყოა.

ასევე მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენ მხარდამჭერებს, რომლებიც პირველივე დღეებიდანვე გვიჭერენ მხარს და ესენი არიან ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სასტუმრო „ბორჯომი- ლიკანი“, ბერხშტეინის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში, კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემია, რომლის რექტორიც გახლავთ **ვალერიან შიუკაშვილი,** ასევე კულტურის სამინისტრო, იტალიის საელჩო საქართველოში და თბილისის მერია.

● **სულ რამდენ კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და ვინ არიან ისინი?**

– დიახ, რამდენიმე კატეგორიაში გვყავნან გამარჯვებულები და ესენი არიან:

დიპლომანტები – **მარიკა აიწურაძე და ბარბარე მაჩაიძე** (ბორჯომის სამუსიკო სკოლა, პედაგოგები **ლია ტაბატაძე და მარინე რატიანი**), **ნატალი ბაქრაძე, ირაკლი გოგიშვილი, დანიელ ერმაკოვი, მარიამ კოჭლამაზაშვილი, ანასტასია მეფარიშვილი, მათე ფიფია.**

**სპეციალური პრიზები** – კომპოზიტორთა კავშირის პრიზით ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის **ბაჩი მიქელაძემ** და შოპენის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის **თეო კაკაბაძემ** დაიმსახურეს.

მზია სიმონიშვილის პრიზი დაწესებული ქალბატონ **მარინა ალადაშვილის** მიერ გადაეცა **დემეტრე ბაქრაძეს**, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიის პრიზი არტისტიზმისთვის დაწესებული ვალერიან შიუკაშვილის მიერ – **ნიკოლოზ კოკილაშვილს** გადაეცა.

რაც შეეხება სხვა კატეგორიებს:

**1 კატეგორია –** 2 პრემია – **დემეტრე ბაქრაძე, ანა გოგალაძე;**

1 პრემია – **საბა ბედოშვილი, გიორგი სეფიაშვილი**

**2 კატეგორია**

3 პრემია – **დავით თოდუა;**

2 პრემია – **ანნა კვიჟინაძე;**

1 პრემია- **ნიკოლოზ კოკილაშვილი.**

**3 კატეგორია –** 3 პრემია – **თინანო ღავთაძე, ლიზი ხაჩიძე** (ბორჯომის სამუსიკო სკოლა პედაგოგი მარინე რატიანი);

2 პრემია – **ოთარ ოთარაშვილი** (ბორჯომის სამუსიკო სკოლა პედაგოგი **მარინე რატიანი**);

1 პრემია – **ელენე მაისურაძე, ბაჩი მიქელაძე.**

**საფორტეპიანო დუეტი**

3 პრემია – **სოფი ქოქაშვილი და რუსუდან ლიპარტელიანი;**

2 პრემია – **მია და დეა ზურაბიშვილები.**

1 პრემია – **გიორგი მჟავანაძე და ნიკოლოზ კოკილაშვილი.**

**4 კატეგორია**

3 პრემია – **გაბრიელ ლამბაშიძე;**

2 პრემია – **ნინო სიხარულიძე;**

1 პრემია – **თეო კაკაბაძე**

ფინინ კოლინზის დისკები დაიმსახურეს

**ნიკოლოზ კოკილაშვილმა, გიორგი მჟავანაძემ, ელენე მაისურაძემ, ბაჩი მიქელაძემ.**

მოამზადა **ნატო მელიძძე**

## პოეზიის კუთხე

# დაე...



**წუხელ სიზმარში სუფრა ვნახე, კრძალვით გაშლილი,**
**სტუმრებს ხელდახელ სასმისები ჩამოვურიგე,**
**ავწიე თასი, სადღეგრძელო კრძალვით წარმოვთქვი,**
**თასი დავცალე და მერე სხვას გადავულოცე.**
**სადღეგრძელო ვთქვი უცნაური, მეც გამიკვირდა,**
**რომ ის სიტყვები მათქმევინა უფალმა ლექსით:**
**-მას გაუმარჯოს ამ სასმისით, მუნჯი რომ ამბობს,**
**გრძნობით რომ სვამს და სადღეგრძელო ყრუსაც რომ ესმის.!**
**გამომეღვიძა, გაოცებულმა გულს ჩავეკითხე,**
**ნეტავ სიზმარში რას ვამბობდი, ან რა შემემთხვა?!**
**და ხმამ ჩამძახა, შემახსენა, რომ იმ სასმისით**
**სიყვარულის სადღეგრძელო უნდა შემესვა!**
**მადლობელი ვარ, ჩემო უფალო, კვლავ შემახსენე,**
**ღირსად რომ მთვლი და საყვედურად ან და რა მეთქმის?**
**და მივხვდი, ქვეყნად კვლავ არსებობს გრძნობა მთავარი,**
**უსიტყვოდ რომ სვამს მუნჯი, ყრუს კი მუნჯის ხმა ესმის!!!**
**დაე, სუფევდეს დედმიწაზე უფლის დიდება,**
**იმედი გვავსებს და სიხარულით გული მშვიდდება,**
**კვლავ იარსებოს გრძნობამ წრფელი სიყვარულისამ**
**და სადღეგრძელოც მუდამ შევსვათ სიხარულითა!**

**იზო სარქისიანი.** 21.09.23 წ.

## საზოგადოებრივი ტრანსპორტი ახალი განრიგით იმოძრავებს



**25 ოქტომბრიდან ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვრის მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი ახალი განრიგით იმოძრავებს. მგზავრობის ღირებულება 1 (ერთი) ლარი იქნება. გადაწყვეტილება ამის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ და სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“ მიიღეს.**

### ავტობუსის განრიგი:

**ორშაბათი – პარასკევი**

**ბაკურიანი – ანდეზიტი-ციხისჯვარი – 15:30 საათი.**

**ციხისჯვარი – ანდეზიტი-ბაკურიანი – 16:00 საათი.**

**ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარი – 18:15 საათი**

**შაბათი-კვირა**

**ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარი – 18:15 საათი.**

**ციხისჯვარი-ანდეზიტი-ბაკურიანი – 18:30 საათი**

**ბაკურიანის საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელია სატრანსპორტო ბარათით, ასევე თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის ყველა ბარათით, გარდა AMEX -სა.**

**სატრანსპორტო ბარათის აღება შესაძლებელია თიბისის ბორჯომის ფილიალში (მის: ქ.ბორჯომი რუსთაველის №121), ასევე დაბა ბაკურიანში (მის: აღმაშენებლის 18) მდებარე მაღაზიის სალაროდან. სატრანსპორტო ბარათის ღირებულება შეადგენს 2 ლარს და მისი შევსება შესაძლებელია თიბისი ფეის სწრაფი გადახდის აპარატებიდან, რომლებსაც აქვს ბარათის წამკითხველი.**

## ზურა აივაზოვის ხსოვნას



**16 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა...**
**მეხუთე დაბადების დღეა უშენოდ...**
**62 წლის გახდებოდი...**
**ისეთი უცნაურად მტკივნეული გახდა ეს ლამაზი დღე შენს გარეშე... თვალები ისევ გეძებენ... შენ კი ხილულად აღარსად არ ხარ... მხოლოდ ჩვენს გულებში, ფიქრებსა და მოგონებებში ირეკლება ფერად კადრებად ის ბედნიერი, ლამაზი დღეები, რასაც შენთან ერთად ყოფნა ერქვა... გულში, ფიქრებში გესაუბრებით... ეხ, რამდენი რამ გვაქვს შენთვის მოსაყოლი... უსაზღვროდ გვაკლიხარ... კივილამდე გვენატრები...**
**დაბადების დღეს გილოცავთ იმიერში...**
**უფალს ებარებოდეს შენი ლამაზი სული...**
**გვიყვარხარ უსასრულოდ...**

**შენი ოჯახი**

## ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ



**22 ოქტომბერს** თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს ბავშვთა და ახლაგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის გალა კონცერტსა და ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიაზე, ბორჯომის სალოტბარო სკოლას (ხელმძღვანელი **ლელა მუხურაძე**) გადაეცა ბრინჯაოს მედალი კატეგორიაში – ქართული საეკლესიო გალობა.

## სამადლობელი წერილი პედაგოგებს

**ბორჯომის** №1 საჯარო სკოლის პედაგოგს **ლია გულიკაშვილსა** და სკოლაში დასაქმებულ თითოეულ უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე მასწავლებელს, მადლობას ვუხდი აქტიური, დაუღალავი შრომისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის, შეუფასებელია ღვაწლი, რომელიც ჩვენი შვილების კეთილდღეობაში მიუძღვით.

განუზომელია ქალბატონი ლიას წვლილი ჩემი შვილის წარმატებაში.

**ლიკა კამკამიძე** უკვე სტუდენტია, მან ოქროს მედალზე დაამთავრა ბორჯომის №1 საჯარო სკოლა და 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ჩასარიცხად.

შეუძლებელია არ დავაფასო ის შრომა და ენერგია, რომელსაც უანგაროდ რმსახურება ჩვენი შვილების პიროვნულ, მორალურ და საგანმანათლებლო განვითარებაში.

მუდამ იყავით სამართლიანობის, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის მასწავლებელი. მისაბაძია №1 საჯარო სკოლის მასწავლებლების სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიისადმი და მოსწავლეებისადმი.

გისურვებთ წარმატებებს და მრავალი ღირსეული თაობის აღზრდას.

**პატივისცემით, ნონა აიწურაძე**

## ახალგაზრდების მისაბაძი აქცია



**ბორჯომის მუნიციპალიტეტთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა დასუფთავების აქცია მოაწყვეს.**

აქციის ფარგლებში დასუფთავდა გოგირდის აბანოებთან მისასვლელი ტერიტორია. ახალგაზრდებმა ტერიტორია პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაწმინდეს.

– დასუფთავების მიზანს ახალგაზრდა თაობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობას წარმოადგენს,-განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სპეციალისტმა **ლანა გიორგიძემ.**

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**

**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**

**გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.**

borjomi@inbox.ru **რედაქტორი:** ვალერიან ლომიძე